2025 წლის გაზაფხულის სეზონის მათემატიკის ოლიმპიადის I ტურის ტესტების მიმოხილვა

მე-7 კლასი

ტესტი შედგება 10 ძირითადი დავალებისგან და მისი ჯამური ქულაა 50. თითოეული სავარჯიშო 5-ქულიანია, ის მოიცავს პირობას და სამ სავარაუდო პასუხს, რომელთაგანაც მოსწავლემ მხოლოდ ერთი - სწორი პასუხი უნდა შეარჩიოს. I-დან II ტურში გადასასვლელად, მოსწავლემ უნდა დააგროვოს სულ მცირე 21 ქულა.

სავარჯიშოები შედგენილია რიცხვთა დათვლის, განტოლებებისა და ალგებრული ამოცანების, წილადების, დროის ერთეულების, სივრცული და ბრტყელი ფიგურების თემატიკებზე.

- **რიცხვები და მათზე მოქმედებები**

- მოსწავლემ უნდა შეძლოს რიცხვებზე მარტივი მოქმედებების ჩატარება. უნდა იცოდეს ზოგიერთ ციფრზე გაყოფადობის ნიშნები.

მაგალითი: რა ციფრით ბოლოვდება სხვაობა $5 \cdot 7 \cdot 100 - 2 \cdot 5 \cdot 10$

A) 4-ით B) 5-ით C) 0-ით

- **რიცხვებზე მოქმედებები, განტოლების ამოხსნა.**

- მოსწავლემ უნდა შეძლოს ნატურალურ რიცხვების გამრავლება ან გაყოფა, ნაშთის პოვნა და მათი შედარება; ამ მოქმედებების საშუალებით განტოლების ამოხსნა.

მაგალითი: $10 \cdot (7 + 1x) = 14x$

A) 5 B) 14 C) 70

- **ამოცანები ალგებრული სისტემის ამოხსნაზე.**

- მოსწავლემ უნდა შეძლოს რიცხვებზე მოქმედებებით ალგებრული ამოცანების ამოხსნა.

მაგალითი: ცარიელი ავზი პირველი მილით 1 საათში ივსება. ნახევრად სავსე ავზი კი მეორე მილით 1 საათში იცლება. ახლა ავზი ცარიელია და ორივე მილი გახსნეს. რა დროში აივსება ავზი?

A) 30 წთ B) 1 სთ C) 2 სთ

- **სივრცული და ბრტყელი ფიგურები**

- მოსწავლემ უნდა იცოდეს ზოგიერთი სივრცული და ბრტყელი ფიგურა და მათი თვისებები. უნდა იცოდეს ფიგურების ღერძული სიმეტრია, პარალელური გადატანა.

მაგალითი: რომელია მეტი წრეწირის რადიუსი თუ დიამეტრი?

A) რადიუსი B) დიამეტრი C) ტოლია

- **დროის ერთეულები**

- მოსწავლემ უნდა შეძლოს დროის ერთეულების ერთმანეთში გადაყვანა.

მაგალითი: რამდენი წამია 2 საათში?

A) 3600 B) 7200 C) 540